ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №1803363

ნომერი: AR1292548

თარიღი : 11.03.2015

გაცემის თარიღი : 01.04.2015

გაცნობის თარიღი : 01.04.2015

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დასახლება ვაზისუბანი , მიკრო/რაიონი III , კვარტალი II , ნაკვეთი 11/005-ის მიმდებარედ (ნაკვეთი 11/036);

დამკვეთი-განმცხადებელი

- ია ტალიაშვილი პ/ნ 01013014446
- თბილისი ვარკეთილი 3 IIIა მ/რ კორ. 344ა ბ. 12

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 17 დეკემბრის #1637269 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2015 წლის 11 მარტს #AR1292548 განცხადებით მომართეს ია ტალიაშვილმა და შპს ბილდ ჯორჯიას დირექტორმა ბორის ხატიაშვილმა. განმცხადებლებმა მოითხოვეს ამავე სამსახურის 2014 წლის 17 დეკემბრის #1637269 ბრძანებაში ცვლილების შეტანა დამკვეთის შეცვლასთან დაკავშირებით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, სამსახურმა შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 17 დეკემბრის #1637269 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, დასახლება ვაზისუბანი , მიკრო/რაიონი III , კვარტალი II , ნაკვეთი 11/005-ის მიმდებარედ (ნაკვეთი 11/036), კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი #01.17.07.011.036), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2014 წლის 17 დეკემბრიდან 2017 წლის 17 აპრილის ჩათვლით.

დღეისათვის განმცხადებლები ითხოვენ სამსახურის 2014 წლის 17 დეკემბრის #1637269 ბრძანებაში ცვლილების შეტანას, კერძოდ, დამკვეთად ზვიად მელქაძის ნაცვლად შპს ბილდ ჯორჯიას დაფიქსირებას. განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ამონაწერის (განაცხადის რეგისტრაციის #882015099549; მომზადების თარიღი: 27/02/2015; საკადასტრო კოდი: #01.17.07.011.036) თანახმად, დღევანდელი მდგომარეობით საპროექტო მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს ზვიად მელქაძის ნაცვლად წარმოადგენს შპს ბილდ ჯორჯია. მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის ამონაწერის მიხედვით, (განაცხადის რეგისტრაციის: #B15033164; მომზადების თარიღი: 17/02/2015; ს/კ: #405085731), შპს ბილდ ჯორჯიას დირექტორს წარმოადგენს ბორის ხატიაშვილი.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 20-ე მუხლის თანახმად, დამკვეთს პირველ და მეორე სტადიაზე წარმოადგენს განმცხადებელი, ხოლო მესამე სტადიაზე დამკვეთი შეიძლება იყოს მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული ან ასაშენებელი შენობა-ნაგებობების მესაკუთრე, მოსარგებლე, ან მისი/მათი უფლებამოსილი პირი, რომელსაც აქვს ობიექტის სამშენებლოდ განვითარების ინტერესი.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდესის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ყოველივე ზემოაღნიშულიდან გამომდინარე, ვინაიდან, ქ. თბილისში, დასახლება ვაზისუბანი , მიკრო/რაიონი III , კვარტალი II , ნაკვეთი 11/005-ის მიმდებარედ (ნაკვეთი 11/036), არსებული მიწის ნაკვეთის (საკ. კოდი #01.17.07.011.036) მესაკუთრეს დღევანდელი მდგომარეობით წარმოადგენს შპს ბილდ ჯორჯია, რომელსაც გააჩნია ობიექტის სამშენებლოდ განვითარების ინტერესი, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა 2014 წლის 17 დეკემბრის #1637269 ბრძანებაში დამკვეთად ზვიად მელქაძის ნაცვლად შპს ბილდ ჯორჯიას დაფიქსირებასთან დაკავშირებით.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 17 დეკემბრის #1637269 ბრძანებაში, კერძოდ: დამკვეთად ზვიად მელქაძის ნაცვლად დაფიქსირდეს შპს ბილდ ჯორჯია (ს/კ #405085731);
2. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 17 დეკემბრის #1637269 ბრძანებასთან ერთად;
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კილომეტრი, #6), კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.